საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1552 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებისა და „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №1389 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს პროექტის - „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერის მიზნით, მიეცეთ უფლება ამ განკარგულებით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობ ანალიტიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების (შესაბამისი აღჭურვილობითა და თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვა, სახელმწიფო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების

ფარგლებში, განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული რაოდენობისა და ღირებულების გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) კასპის, ქალაქ გორის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს;

ბ) ქალაქ ამბროლაურის, ამბროლაურის, ონის, ლენტეხისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს;

გ) ქალაქ ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, ქალაქ ფოთის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, წალენჯიხის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს;

დ) ქალაქ თელავის, თელავის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებს;

ე) ქალაქ რუსთავის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, წალკისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებს;

ვ) ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს;

ზ) ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ქალაქ ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს;

თ) ყაზბეგის, ქალაქ მცხეთის, მცხეთის, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებს;

ი) ქალაქ ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის, ზესტაფონის, ვანის, სამტრედიის, თერჯოლისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს.

2. ეთხოვოთ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტებს:

ა) ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მიწოდება, მონტაჟი და შემდგომი მოვლა-პატრონობა განახორციელონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციით, სამმხრივი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების საფუძველზე;

ბ) ვიდეოსამეთვალყურეო კამერების დასაწყობება განახორციელონ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

№	მუნიციპალიტეტი	ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	კასპის მუნიციპალიტეტი	18	64 710
2	ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	8	28 760
3	გორის მუნიციპალიტეტი	18	64 710
4	ქარელის მუნიციპალიტეტი	15	53 925
5	ხაშურის მუნიციპალიტეტი	23	82 685
6	ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	10	35 950
7	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	6	21 570
8	ონის მუნიციპალიტეტი	7	25 165
9	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2	7 190
10	ცაგერის მუნიციპალიტეტი	3	10 785
11	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	10	35 950
12	აბაშის მუნიციპალიტეტი	8	28 760
13	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	10	35 950
14	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	40	143 800
15	მარტვილის მუნიციპალიტეტი	15	53 925
16	მესტიის მუნიციპალიტეტი	5	17 975
17	სენაკის მუნიციპალიტეტი	9	32 355
18	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	14	50 330
19	ხობის მუნიციპალიტეტი	10	35 950
20	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	19	68 305
21	ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	10	35 950
22	თელავის მუნიციპალიტეტი	12	43 140

23	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	16	57 520
24	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	8	28 760
25	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	16	57 520
26	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	10	35 950
27	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	8	28 760
28	ყვარელის მუნიციპალიტეტი	18	64 710
29	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	69	248 055
30	დმანისის მუნიციპალიტეტი	12	43 140
31	მარნეულის მუნიციპალიტეტი	85	305 575
32	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	20	71 900
33	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	54	194 130
34	წალკის მუნიციპალიტეტი	20	71 900
35	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	10	35 950
36	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	4	14 380
37	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	14	50 330
38	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	4	14 380
39	ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	3	10 785
40	ადიგენის მუნიციპალიტეტი	14	50 330
41	ასპინძის მუნიციპალიტეტი	5	17 975
42	ახალციხის მუნიციპალიტეტი	4	14 380
43	ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	10	35 950
44	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	10	35 950
45	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	12	43 140
46	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	10	35 950

47	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	11	39 545
48	ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	4	14 380
49	მცხეთის მუნიციპალიტეტი	20	71 900
50	თიანეთის მუნიციპალიტეტი	10	35 950
51	დუშეთის მუნიციპალიტეტი	13	46 735
52	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	20	71 900
53	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	10	35 950
54	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	20	71 900
55	საჩხერის მუნიციპალიტეტი	19	68 305
56	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	6	21 570
57	ხონის მუნიციპალიტეტი	5	17 975
58	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	22	79 090
59	ვანის მუნიციპალიტეტი	6	21 570
60	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	20	71 900
61	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6	21 570
62	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	8	28 760